N 84 2016 წლის 26 თებერვალი ქ. თბილისი

„თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/02/2014, 010320050.10.003.017758) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული თანამდებობრივი რეესტრის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში:

ა) მაკროეკონომიკური ანალიზის სამსახურის ხელმძღვანელი;

ბ) რეგულირების გავლენისა და კონკურენტუნარიანობის კვლევის სამმართველოს ხელმძღვანელი;

გ) ეკონომიკური ზრდის ანალიზის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

დ) ეკონომიკური ზრდის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ე) სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ვ) აზია-აფრიკის რეგიონსა და სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი;

ზ) ევროკავშირსა და ევროპის სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი;

თ) მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონის სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი;

ი) ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ამერიკის კონტინენტის ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი;

კ) საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ლ) ინდუსტრიული და მომსახურების დარგების კვლევის სამმართველოს ხელმძღვანელი;

მ) კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და საპენსიო რეფორმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ნ) საინვესტიციო პოლიტიკისა და ინვესტიციების ხელშეწყობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ო) ქვეყნის ბრენდის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი;

პ) ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ჟ) კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

რ) საკანონმდებლო ბაზის განვითარების კოორდინაციის სამმართველოს ხელმძღვანელი;

ს) იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ტ) საკანონმდებლო ინიციატივების ლობირების და კანონის იმპლემენტაციის სამმართველოს ხელმძღვანელი;

უ) მდგრადი განვითარების სამმართველოს ხელმძღვანელი;

ფ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ქ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განვითარების სამმართველოს ხელმძღვანელი;

ღ) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ყ) პროტოკოლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

შ) შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ჩ) სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევების ბიუროს ხელმძღვანელი;

ც) დაგეგმვისა და კონტროლის სამმართველოს ხელმძღვანელი;

ძ) ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

წ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**